

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“
მე-16 მუხლის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის მოთხოვნების
შესრულება;

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები შესაბამისობაშია
საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან და საქართველოს
კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად
განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლისათვის ქალაქ
ბათუმის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით
მისაღები შემოსულობების და გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება საბიუჯეტო
კლასიფიკაციის შესაბამისად

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების
წყარო:

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების
წყაროს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის
შემოსულობები;

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯით ნაწილზე:

[პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:](#)

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების
საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 248 117,0 ათას ლარს.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლები შეადგენს 76,162.6 ათას ლარს.
საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრება საქართველოს
საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 61-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს
ფინანსთა სამინისტროდან მიღებული საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო
მაჩვენებლების შესაბამისად. მათ შორის:

ქონების გადასახადი - 29,000.0 ათასი ლარი;

დამატებული ღირებულების გადასახადები - 47,162.6 ათასი ლარი.

ფინანსური დახმარების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 111,000.0 ათასი ლარით: მათ შორის:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები - კაპიტალური ტრანსფერი - 55,599.9 ათასი ლარი და სპეციალური ტრანსფერი - 55,400.1 ათასი ლარი.

2022 წლისთვის ადგილობრივი ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 38 254,4 ათასი ლარის ოდენობით:

- საკუთრებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1,854.4 ათასი ლარის ოდენობით. აქედან:

- პროცენტების სახით დაგეგმილია 500.0 ათასი ლარის მობილიზება;
- რენტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1,354.4 ათასი ლარის ოდენობით.

- საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 29,600.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

- სანებართვო მოსაკრებლები - 500.0 ათასი ლარის ოდენობით.
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 27,500.0 ათასი ლარის ოდენობით.
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 3,600.0 ათასი ლარის ოდენობით.

- ჯარიმებით, სანქციებითა და საურავებით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4 300.0 ათასი ლარის ოდენობით.

- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 500.0 ათასი ლარის ოდენობით.

არაფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 22.700.0 ათასი ლარით.

პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 254 047,4 ათას ლარს.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 60.8% - 154 565,4 ათასი ლარი მოდის ხარჯებზე, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება - 27 616,8 ათასი ლარი - 10,9%;
- საქონელი და მომსახურება - 48 800,1 ათასი ლარი - 19,2%;
- პროცენტი - 12,762.3 ათასი ლარი - 5,0%;
- გრანტები - 15.0 ათასი ლარი;
- სუბსიდიები - 16 447,7 ათასი ლარი - 6,5%;
- სოციალური უზრუნველყოფა - 11,978.5 ათასი ლარი - 4,7%;
- სხვა ხარჯები - 36 945,0 ათასი ლარი - 14,5%;

- მთლიანი ასიგნებების 25.9% - 65 797,4 ათასი ლარი მოდის არაფინანსური აქტივების ზრდაზე.

- ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვალდებულებების (სესხის ძირი თანხის) დაფარვას 33,684.6 ათასი ლარი მოხმარდება, რაც მთლიანი ასიგნებების 13.3%-ია.

• პროგრამული კლასიფიკაციის შესაბამისად პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგნაირად:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (მთლიანი ასიგნების - 22,3%) - 56 562,5 ათასი ლარი, მათ შორის:

ა) სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (მთლიანი ასიგნების - 18,3%) - 46,446.9 ათასი ლარი, აღნიშნულ ღონისძიებაში სრულად არ არის ასახული გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურება კერძოდ 2020-2021 წელს გადავადებული სესხის ძირი თსნხები, რომელთან დაკავშირებითაც მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილია შუამდგომლობა საქართველოს მთავრობის წინაშე, "ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტთან" დაკავშირებით არსებული სასესხო ვალდებულებების (ძირითადი და საპროცენტო თანხები) მომსახურების ვადის ცვლილებაზე, საურავების დარიცხვის გარეშე;

ბ) სარეზერვო ფონდი (მთლიანი ასიგნების - 0,7%) - 1,850.0 ათასი ლარი;

გ) წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - 100.0 ათასი ლარი;

- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება (მთლიანი ასიგნების - 41,6%) - 105 658,0 ათასი ლარი;

- ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (მთლიანი ასიგნების - 9,0%) - 22 924,9 ათასი ლარი;

- განათლება (მთლიანი ასიგნების - 11,0%) - 27 855,1 ათასი ლარი;

- კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (მთლიანი ასიგნების - 5,0%) - 12 721,6 ათასი ლარი;

- ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (მთლიანი ასიგნების - 7,2%) - 18 408,6 ათასი ლარი;

- ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება (მთლიანი ასიგნების - 0,8%) - 2,010.0 ათასი ლარი;

- მუნიციპალური სერვისების განვითარება (მთლიანი ასიგნების - 3,1%) - 7 906,7 ათასი ლარი.

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2022 წლის გეგმა |
|-----------------------|---|------------------|
| სულ ასიგნებები | | 254 047,4 |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 56 562,5 |
| 01 01 | ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 2 149,6 |
| 01 02 | ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია | 5 879,0 |
| 01 03 | სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა | 46 446,9 |
| 01 04 | სარეზერვო ფონდი | 1 850,0 |
| 01 05 | წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი | 100,0 |

| | | |
|--------------|--|------------------|
| 01 06 | წვევამდელთა ტრანსპორტირება | 20,0 |
| 01 07 | საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება | 40,0 |
| 01 08 | მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება | 77,0 |
| 02 00 | მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება | 105 658,0 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 35 862,5 |
| 02 02 | სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება | 10 750,0 |
| 02 03 | საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება | 14 365,4 |
| 02 04 | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი | 35 901,3 |
| 02 05 | მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა | 605,0 |
| 02 06 | ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა | 6 118,5 |
| 02 07 | ქალაქის კეთილმოწყობა | 2 055,3 |
| 03 00 | ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება | 22 924,9 |
| 03 01 | ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება | 12 262,0 |
| 03 02 | ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება | 10 662,9 |
| 04 00 | განათლება | 27 855,1 |
| 04 01 | სკოლამდელი აღზრდა და განათლება | 27 665,1 |
| 04 02 | პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა | 170,0 |
| 04 03 | ზოგადი განათლების ხელშეწყობა | 20,0 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 12 721,6 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 4 713,6 |
| 05 02 | მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა | 2 535,3 |
| 05 03 | კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები | 2 678,0 |
| 05 04 | კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა | 2 509,1 |
| 05 05 | კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება | 17,6 |
| 05 06 | ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა | 268,0 |
| 06 00 | ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 18 408,6 |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | 5 612,2 |
| 06 02 | სოციალური უზრუნველყოფა | 11 969,7 |
| 06 03 | სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა | 826,7 |
| 07 00 | ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება | 2 010,0 |
| 07 01 | ქალაქის ურბანული განვითარება | 2 010,0 |
| 08 00 | მუნიციპალური სერვისების განვითარება | 7 906,7 |
| 08 01 | მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება | 6 906,7 |
| 08 02 | თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება | 1 000,0 |

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 32 764,6 ათასი ლარი;
- ✓ თავდაცვა - 20.0 ათასი ლარი;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობა - 41 137,9 ათასი ლარი;
- ✓ გარემოს დაცვა - 23 520,6 ათასი ლარი;
- ✓ საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 54 003,2 ათასი ლარი;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა - 5,707.2 ათასი ლარი;
- ✓ დასვენება, კულტურა და რელიგია - 23 384,5 ათასი ლარი;
- ✓ განათლება - 27 855,1 ათასი ლარი;
- ✓ სოციალური დაცვა - 11 969,7 ათასი ლარი;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ნაშტის ცვლილების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს - 5 930,4 ათას ლარს, აღნიშნულიდან - 833.4 ათასი ლარი, ქალაქ ბათუმში 26 მაისის ქუჩა ქ. N13-ში (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩამონგრევის შედეგად) მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაზარალებულთა დახმარების მიზნით ჩარიცხული თანხაა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველ ვერსიაში განხორციელებული ცვლილებები დეტალური განმარტებით დანართის სახით თან ერთვის (დანართი 1).

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რესურსების გამოყოფას და ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას;

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მიღებული იქნა კონსულტაციები საქართველოს ფინანსთა სამინისტროსაგან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსაგან;

ე) პროექტის ინიციატორი:

პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი;

ინფორმაცია
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში და საბიუჯეტო პროგრამებში/ქვეპროგრამებში
განსახორციელებული ცვლილების შესახებ

შემოსულობების ცვლილება

(ლარებში)

| № | დასახელება | საბიუჯეტო სახსრები | არასაბიუჯეტო სახსრები | შენიშვნა |
|----------|---|--------------------|-----------------------|--|
| 1 | გრანტი | -8,000,000 | | |
| 1.2 | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი | 748,500 | | განხორციელდა ცვლილებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ნაწილში |
| 1.3 | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი | -8,748,500 | | |
| 2 | სხვა შემოსავლები | 2,000,000 | | |
| 2.2 | სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 2,000,000 | | გაიზარდა წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი |
| 3 | არაფინანსური აქტივების კლება | 3,000,000 | | |
| 3.1 | არაწარმოებული აქტივები | 3,000,000 | | გაიზარდა წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი - მუნიციპალიტეტის მიერ საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებიდან მიღებული თანხების ნუსხის გათვალისწინებით |
| 4 | სხვა შემოსავლები (ა(ა)იპ-ები) | | 124,400 | |
| 2.1 | სხვა შემოსავლები | | 124,400 | იზრდება ა(ა)იპ ბოტანიკური ბაღის საკუთარი შემოსავლების გეგმა |
| | სულ ჯამი | -3,000,000 | 124,400 | |

გადასახდელების ცვლილება

(ლარებში)

| კოდი | დასახელება | საბიუჯეტო სახსრები | არასაბიუჯეტო სახსრები | შენიშვნა |
|-----------------|---|--------------------|-----------------------|---|
| 02 01 05 | საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა | -2,815,300 | | <i>განმახორციელებელი: ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო</i> |
| | ქ. ბათუმის, ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე - სამრეწველო ზონის მიმდებარედ (ადგილობრივი მნიშვნელობის გზის "მახოს ხიდი-გონიოს ხილისა" და "გეზის" მიმდებარედ) მთავარი და მეორე ხარისხის გზის მშენებლობა-მოწყობის სამუშაოები, სამუშაოების საერთო ბიუჯეტი | -500,000 | | გარდამავალი ღონისძიება (მრავალწლიანი შესყიდვა) |
| | ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩის (მარტავას წრიულიდან ვ. ფშველას ქუჩამდე) რეაბილიტაციის სამუშაოები | -1,815,300 | | გარდამავალი ღონისძიება (მრავალწლიანი შესყიდვა) |
| | ვ. გორგასალის ქუჩის (ალ. გრიბოედოვის ქუჩიდან ნ. ბარათაშვილის ქუჩამდე) კეთილმოწყობა ფარნავაზ მეფის ქუჩაზე მიერთებით; | -500,000 | | გარდამავალი ღონისძიება (მრავალწლიანი შესყიდვა) |
| | ფარნავაზ მეფის ქუჩის (ალ. გრიბოედოვის ქუჩიდან ნ. ბარათაშვილის ქუჩამდე) კეთილმოწყობა ზურაბ გორგილაძის ქუჩაზე მიერთებით.; | | | |
| 02 04 03 | ბინათმსაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება | 1,100,000 | | <i>განმახორციელებელი: ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო</i> |
| | ქ. ბათუმის ურბანული ნაწილის გადაღების, დამუშავების და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა | 300,000 | | გარდამავალი ღონისძიება |
| | ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. #13-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დემონტაჟის სამუშაოები | 200,000 | | გარდამავალი ღონისძიება |
| | მრავალსართულიან/მრავალბინიან სახლებში არსებული ამორტიზირებული ლიფტების დემონტაჟი და ახალი ლიფტების მონტაჟი | 1,000,000 | | ახალი ღონისძიები |
| | მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის ატრანსპორტის შეძენა-მონტაჟი და რეაბილიტაცია | 300,000 | | ახალი ღონისძიები |
| | ქალაქში არსებულ სახლებზე დაზიანებული ფასადების რეაბილიტაცია | -700,000 | | გარდამავალი ღონისძიება (მრავალწლიანი შესყიდვა) |
| 02 04 04 | საცხოვრებელი სახლების მშენებლობა | -2,000,000 | | <i>განმახორციელებელი: ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო</i> |
| | ავარიული სახლების დემონტაჟი-მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაცია | -2,000,000 | | გადაღის საკონკრეტო პროგრამაში (ბინის ქირის საფასურით უზრუნველყოფის მიზნით) |
| 02 06 03 | საკომუნალური თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა | 2,000,000 | | |
| | მოქალაქეების ბინის ქირის (ავარიული) საფასურით უზრუნველყოფა | 2,000,000 | | გადმოვიდა ავარიული სახლების დემონტაჟი-მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაციის ქვეპროგრამიდან |

| კოდი | დასახელება | საბიუჯეტო სახსრები | არასაბიუჯეტო სახსრები | შენიშვნა |
|----------|--|--------------------|-----------------------|--|
| 02 06 01 | ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო | | | განმახორციელებელი: ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო |
| | საქონელი და მომსახურება | 60,000 | | განხორციელდა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის ცვლილება |
| | არაფინანსური აქტივები | -60,000 | | |
| 03 02 02 | პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა | 1,502,500 | | განმახორციელებელი: ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო |
| | თამარ მეფის გამზირი N20-ში სკვერის მოწყობა | 552,500 | | ახალი ღონისძიები მრავალწლიანი შესყიდვა (2022-2023 წლები - 917 400 ლარი) |
| | ფროსმანის ქ. N8-10-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა | 150,000 | | ახალი ღონისძიები |
| | ბგრატიონის ქ. N214-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა | 150,000 | | ახალი ღონისძიები |
| | ფრიდონ ხალვაშის VI და VII ჩიხებს შორის სკვერის მოწყობა | 150,000 | | ახალი ღონისძიები |
| | ი. მესხის ქ. N1-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა | 150,000 | | ახალი ღონისძიები |
| | ანდრია პირველწოდებულის IX ჩიხის N3-5 მიმდებარედ სკვერის მოწყობა | 350,000 | | ახალი ღონისძიები |
| 03 02 04 | ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი | | 124,400 | განმახორციელებელი: ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი |
| | შრომის ანაზღაურება | | 30,000 | იზრდება ღონისძიების დაფინანსება |
| | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება | | 94,400 | იზრდება ღონისძიების დაფინანსება |
| 04 01 03 | საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია | 1,062,800 | | განმახორციელებელი: ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო |
| | ქ. ბათუმში, მ. ლერმონტოვის ქ. #96-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა | 800,000 | | გარდამავალი ღონისძიება |
| | ქ. ბათუმში, მეზღვარის ქუჩაზე საბავშვო ბაღის მშენებლობა | 262,800 | | გარდამავალი ღონისძიება |
| 05 02 03 | სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია | 900,000 | | განმახორციელებელი: ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო |
| | ლორთქიფანძის ქ. N14 სპორტული მოედნის მშენებლობა | 300,000 | | ახალი ღონისძიები |
| | აფსაროსის გზატკეცილის II შესახვევის N8-ის მიმდებარედ სპორტული მოედნის მშენებლობა | 386,000 | | ახალი ღონისძიები |
| | ქართული ჭიდაობის ნახევრად დია ტიპის საჭიდაო მოედანი (მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დაფინანსება) | 214,000 | | გარდამავალი ღონისძიება |
| 07 01 01 | ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენა | -250,000 | | |
| | | -250,000 | | |
| | სულ ჯამი | 1,500,000 | 124,400 | |

ნაშთის ცვლილება

(ლარებში)

| № | დასახელება | საბიუჯეტო სახსრები | არასაბიუჯეტო სახსრები | შენიშვნა |
|---|---------------------------|--------------------|-----------------------|---|
| 1 | ნაშთის კლება (გამოყენება) | 4,500,000 | | 2021 წელს ფაქტურად მიღებული შემოსულობების (გეგმაზე გადაჭარბება) შედეგად დაგროვილი ფულადი სახსრების გამოყენება |
| 2 | ნაშთის კლება (გამოყენება) | | | ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი |
| 1 | ბალანსი | | | |